



თბილისი, 26 ოქტომბერი, 2012

ევროკავშირი საქართველოს ენერგომარეგულირებელს ინსტიტუციონალურად გააძლიერებს

პარასკევს, 2012 წლის 26 ოქტომბერს, საზოგადოებისა და პრესის წარმომადგენლები დაესწრნენ ევროკავშირის მიერ 1.1 მლნ ევროს ოდენობით დაფინანსებული დამმობილების პროექტის: „ევროკავშირი, ავსტრია და საქართველო: დამმობილება ელექტროენერჯის ტარიფის მეთოდოლოგიის განახლებისათვის“ გახსნის ოფიციალურ ცერემონიალს. პროექტის მიმდინარეობის 21 თვის განმავლობაში სემეკს ავსტრიის (E-Control), გერმანიისა (BNetzA) და ლატვიის (PUC) მარეგულირებლებისა და ავსტრიის ენერგეტიკული ბირჟის (EXAA) წარმომადგენლები დაეხმარებიან სატარიფო მეთოდოლოგიის განახლებასა და მასში მომსახურების ხარისხის ასპექტების ინტეგრირებაში.

ღონისძიებას დაესწრნენ მაღალი რანგის მომხსენებლები: ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა, ელჩმა, მისმა აღმატებულებამ ბატონმა ფილიპ დიმიტროვმა ყურადღება გაამახვილა ტარიფიკაციაზე, როგორც ეფექტური ენერჯო ბაზრის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელ წინაპირობაზე ევროკავშირის საგარეო ენერგეტიკული პოლიტიკის კონტექსტში. ავსტრიის რესპუბლიკის საპატიო კონსულმა საქართველოში, მისმა აღმატებულებამ ქალბატონმა ევა ბერგერმა სიამოვნება გამოთქვა, რომ პროექტის გახსნის ოფიციალური ცერემონიალი დაემთხვა ავსტრიის ევროვნულ დღის აღნიშვნას. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, მისმა აღმატებულებამ ქალბატონმა თამარ ბერუჩაშვილმა ხაზი გაუსვა დამმობილების პროექტების მნიშვნელობას ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის მისაღწევად.

ქართული მხრიდან პროექტის პარტნიორის, სემეკის თავმჯდომარემ, ბატონმა გურამ ჩალაგაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოში მიმდინარე ეტაპზე ენერგეტიკა პრიორიტეტული ინტერესის სფეროს განეკუთვნება. პროექტის ავსტრიული მხარის პარტნიორის, E-Control-ის, აღმასრულებელმა დირექტორმა ბატონმა მარტინ გრაფმა, ისაუბრა ევროპაში ელექტროენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციის დადებით შედეგებზე, თუმცა მან ასევე აღნიშნა, რომ „ევროპის ენერგეტიკულ ბაზარზე ახალი გამოწვევები ჩნდება და მათი დაძლევისას მარეგულირებელმა ყოველთვის ბალანსი უნდა შეინარჩუნოს.“

საკუთარ პრეზენტაციებსა და აუდიტორიასთან გამართული კითხვა-პასუხის დროს, პროექტის ლიდერებმა, E-Control-ის მხრიდან ბატონმა დიტმარ პრაინსტორფერმა და სემეკის მხრიდან ბატონმა გოჩა შონიამ ისაუბრეს პროექტის მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების შესახებ.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ:

ბატონ ჯუზეპე ვასკესს

კომუნიკაციისა და ინფორმაციის ოფიცერს

ევროკავშირის წარმომადგენლობა

ქალბატონ ესტერ შულეს

პროექტის მუდმივ უცხოელ მრჩეველს



A project implemented by E-Control
www.e-control.at

Georgian National Energy and Water Supply Regulatory Commission

26 Chechelashvili str.
Kutaisi, 4600, Georgia
Tel: +995 43 1 256122
Fax: +995 43 1 256121

This project is funded by the European Union

Delegation of The European Union to Georgia

38, Nino Chkheidze str.
Tbilisi, 0102 Georgia
Tel: +995 32 2 943763
Fax: +995 32 2 943768

The European Commission is the EU's executive body.

“The European Union is made up of 27 Member States who have decided to gradually link together their know-how, resources and destinies. Together, during a period of enlargement of 50 years, they have built a zone of stability, democracy and sustainable development whilst maintaining cultural diversity, tolerance and individual freedoms. The European Union is committed to sharing its achievements and its values with countries and peoples beyond its borders”.